საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/50

ქ. ბათუმი 24 მარტი, 2021 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,მედიაცია" მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის N 01-08/137 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს სხდომის 2020 წლის 12 ოქტომბრის N1 ოქმის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მედიაციის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 დეკემბრის N 01-02/154 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე მედიაცია სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 5 მარტის N01-10/19 ბრძანებისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის, ქ. ბერიძის 2021 წლის 19 მარტის №257489 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,მედიაცია" მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული ფორმა **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორმა უზრუნველყოს მედიაციის პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებთან ხელშეკრულებების გაფორმება

და მათი ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „რექტორის ბრძანებები“ და „საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში”).
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად ჩაბარდეს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „მედიაცია“ მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 მარტის № 01-02/50 ბრძანების

დანართი №1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი „ .....” „..... “, ... **წელი**

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - **„ბსუ“**), წარმოდგენილი მისი რექტორის მიერ და მეორე მხრივ ---------- (შემდეგში „მსმენელი“)

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანია** მსმენელის მიერ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „მედიაცია“ (შემდგომში - „პროგრამა“) გავლა.

2. პროგრამაზე სწავლის საფასური მსმენელისათვის შეადგენს ..... ლარს (10-25 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფური მეცადინეობა).

3. **მსმენელი ვალდებულია** პროგრამაზე სწავლის საფასური გადაიხადოს 2 (ოთხ) ეტაპად, შემდეგნაირად:

ა) პირველი ეტაპზე, მსმენელთან ხელშეკრულების დადებისთანავე (სწავლის დაწყებამდე) - სრული საფასურის 60%;

ბ) მეორე ეტაპზე, პროგრამაზე შესასრულებელი საკონტაქტო საათების (მეცადინეობების) მესამედის გასვლამდე - დარჩენილი დავალიანება, სრული საფასურის 40% (ზუსტი პერიოდი განისაზღვრება მსმენელის ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტით).

4. **მსმენელი ვალდებულია** შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით და პროგრამით გათვალისწინებული და ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის მოთხოვნები სასწავლო პროცესთან (სასწავლო ცხრილი და სწავლის საფასურის გადახდის კონკრეტული ვადები) და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით. მსმენელის მიერ პროგრამაზე სწავლის მიტოვების ან/და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა

მოთხოვნების შეუსრულებლობა არ გამორიცხავს მის მიერ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

5. **ბსუ ვალდებულია** შეუქმნას მსმენელს პროგრამის გავლისათვის შესაბამისი პირობები.

6. **ბსუ უფლებამოსილია** მსმენელის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის, 50%-ზე მეტი ოდენობით მეცადინეობაზე გამოუცხადებლობის ან/და სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამორიცხოს იგი მსმენელთა სიიდან, გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების გარეშე.

,,მხარეთა ხელმოწერები"

,,ბსუ"	**,,მსმენელი"**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
	ფაქტობრ. მისამ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
	რეგისტრ.მისამ. ----------
	ტელეფონი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
----------	ელ. ფოსტა_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
(რექტორის ხელმოწერა)	
	მსმენელის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _